



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

გ ა ღ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 25/62

2018 წლის 4 აპრილი

ქ. თბილისი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში განსახილველ ზოგიერთ განცხადებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 2018 წლის 4 აპრილის საჯარო სხდომაზე განიხილა ირაკლი ქორიძის სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ (N 3382/01; 27.03.2018), დავით დეკანოიძის სს „თელასის“ მიმართ (N 3684/01; 29.03.18) და ირაკლი ჩხიკვაძის სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ (N 2998/01; 15.03.2018) არსებულ დავებზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის ვადის გაგრძელების (განსაზღვრის) საკითხი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასახელებულ ადმინისტრაციულ საჩივარზე გადაწყვეტილების მისაღებად და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და სხვა მტკიცებულებების შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვა, გამოკვლევა და შეფასება, რაც დამატებით დროს მოითხოვს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გადაწყვეტა:

1. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ ირაკლი ქორიძის განცხადებასთან (N 3382/01; 27.03.2018) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 26 ივნისი.
2. სს „თელასის“ მიმართ დავით დეკანოიძის განცხადებასთან (N 3684/01; 29.03.18) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 28 ივნისი.
3. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ ირაკლი ჩხიკვაძის განცხადებასთან (N 2998/01; 15.03.18) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 14 ივნისი.
4. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობოს ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირებს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
6. გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ ცალკე არ გასაჩივრდება.

ირინა მილორავა

კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

მაია მელიქიძე

კომისიის წევრი

გოჩა შონია

კომისიის წევრი

დავით ნარმანია

კომისიის წევრი

